

საქართველოს ძირითადი ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016 წელი იანვარ-მარტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2145 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია.

- ექსპორტი შემცირდა 12%-ით და 443 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;
- იმპორტი გაიზარდა 5%-ით და 1703 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა 1260 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 59% დაიკავა.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 117 ქვეყნით განისაზღვრა, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 35 ქვეყანასთან.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2008-2016 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.	2012წ.	2013წ.	2014წ.	2015წ.	2016 წ. იანვარ-მარტი
ბრუნვა	7 797	5 634	6 935	9 225	10 413	10 921	11 457	9 933	2145
ზრდის ტემპი (%)	21%	-28%	23%	33%	13%	5%	5%	-13%	-7%
ექსპორტი	1 495	1 134	1 677	2 187	2 376	2 910	2 861	2 204	443
ზრდის ტემპი (%)	21%	-24%	48%	31%	8%	22%	-1.7%	-23%	-12%
იმპორტი	6 302	4 500	5 257	7 038	8 037	8 012	8 593	7 729	1703
ზრდის ტემპი (%)	21%	-29	17%	34%	14%	-0.2%	7%	-10%	5%
სალდო	-4 806	-3 367	-3 580	-4 852	-5 661	-5 102	-5 733	-5 525	-1260

2016 წლის იანვარ-მარტში 355 მლნ. აშშ დოლარის წმინდა ექსპორტი (რეექსპორტის გარეშე) განხორციელდა, რაც 4.4%-ით და 15 მლნ. აშშ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საქართველოს ექსპორტი 2015/3-2016/3 იანვარ-მარტში

	2015/3 თვე		2016/3თვე	
	მლნ.\$	მლნ.\$	ზრდა (%)	სხვაობა მლნ.\$
ექსპორტი სულ	503	443	-12%	60
მ.შ წმინდა ექსპორტი	340	355	4.4%	15
რეექსპორტი	163	88	-56%	75

რეგიონალური ვაჭრობა

საქართველო - ევროკავშირი

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2015 წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა, 712 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 33% დაიკავა:

- ექსპორტი 35%-ით შემცირდა, 111 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 25% დაიკავა;
- იმპორტი 28%-ით გაიზარდა, 601 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 35% დაიკავა.

ექსპორტი

ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 2016 წლის იანვარ-მარტში შეადგინა 41.7 მლნ. აშშ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32%-ით და 19.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 69.1 მლნ. აშშ დოლარი - 36%-ით და 39.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

ექსპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

თხილი და კაკალი - ექსპორტი 28.3 მლნ. აშშ დოლარი (37%-ით და 16.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (64%), იტალიაში (27%), სლოვაკეთში (67%) ძირითადი საექსპორტო ბაზრების: იტალია (48%), გერმანია (14%) და ჩეხეთი (11%);

მინერალური წყალი - ექსპორტი 2.7 მლნ. აშშ დოლარი (7%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა ლიტვაში (9%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ლიტვაში (98%);

ხილისა და ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 0.6 მლნ. აშშ დოლარი (69%-ით და 1.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (78%-ით და 1.2 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია (52%), საბერძნეთი (25%);

ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 0.6 მლნ. აშშ დოლარი (77%-ით და 2.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (69%-ით და 1.0 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია (68%), სლოვაკეთი (25%).

სამრეწველო პროდუქცია

ფეროშენადნობები - ექსპორტი 2.6 მლნ. აშშ დოლარი (57%-ით და 3.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა საფრანგეთში (100%-ით და 1.3 მლნ. აშშ დოლარით), ესპანეთში (51%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საბერძნეთი (54%), ესპანეთი (43%);

მინერალური სასუქები - ექსპორტი 9.3 მლნ. აშშ დოლარი (5%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა საფრანგეთში (100%-ით და 1.7 მლნ. აშშ დოლარით), ესპანეთში (100%-ით და 1.5 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბულგარეთი (45%), საბერძნეთი (25%), რუმინეთი (15%);

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 31.9 მლნ. აშშ დოლარი (23%-ით და 9.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი გაიზარდა ესპანეთში (5.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბულგარეთი (83%), ესპანეთი (17%);

მსუბუქი ავტომობილები გავიდა 0.6 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით (93%-ით და 7.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი შემცირდა ბელგიაში 94%-ით და 7.5 მლნ. აშშ დოლარით. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია ბელგია (88%) და გერმანია (7%).

ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ პოზიციებზე

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

პარკოსანი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 1.1 მლნ. აშშ დოლარი (43%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ექსპორტი გაიზარდა საფრანგეთში (58%-ით და 0.1 მლნ. აშშ დოლარი), გერმანიაში (62%-ით და 0.1 მლნ. აშშ დოლარით) ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი (32%), გერმანია (62%).

სამრეწველო პროდუქცია:

ნედლი ნავთობი - ექსპორტი 5.4 მლნ. აშშ დოლარი (34%-ით და 2.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ექსპორტი გაიზარდა ბულგარეთში (46%-ით და 3.7 მლნ. აშშ დოლარით) და რუმინეთში (100%-ით და 1.0 მლნ. აშშ დოლარით). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ბულგარეთი (81%), რუმინეთი (18%);

მინის ტევადობები - ექსპორტი განხორციელდა 1.4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით იტალიაში. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნული სასაქონლო პოზიციის ექსპორტი არ განხორციელებულა.

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა შეადგინა 47.1 მლნ. აშშ დოლარი, რაც 22%-ით და 13.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა** 555 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა - 35%-ით და 144 მლნ. აშშ დოლარით მეტი.

იმპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

სოიოს კოპტონი - იმპორტი 1.3 მლნ. აშშ დოლარი. იმპორტი გაიზარდა 4-ჯერ 1.0 მლნ. აშშ დოლარით. იმპორტის სრული მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან;

ალაოს ექსტრაქტი - იმპორტი 2.3 მლნ. აშშ დოლარი. იმპორტი გაიზარდა 15%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია (41%), ავსტრია (21%), ნიდერლანდები (15%).

სამრეწველო პროდუქცია

სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 238.5 მლნ. აშშ დოლარი (6-ჯერ და 203 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ირლანდიიდან (87%). სხვა მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყნებია გერმანია (3%), საფრანგეთი (2%);

სითხის ან აირის ხარჯის საზომი აპარატურა - იმპორტი 7.2 მლნ. აშშ დოლარი (19-ჯერ და 8.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა გაერთიანებული სამეფოდან (90%), ირლანდიიდან (5%);

კერამიკის ფილები - იმპორტი 2.9 მლნ. აშშ დოლარი (21%-ით და 0.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ესპანეთიდან (87%), იტალიიდან (11%);

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 31.7 მლნ. აშშ დოლარი (6%-ით და 1.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა გერმანიიდან (77%), გაერთიანებული სამეფოდან (7%), ნიდერლანდებიდან (4%).

იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

ღორის ხორცი გაყინული - იმპორტი 1.8 მლნ. აშშ დოლარი (57%-ით და 2.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა გერმანიიდან (16%), ესპანეთიდან (35%);

სპირტიანი სასმელები - იმპორტი 2.6 მლნ. აშშ დოლარი (66%-ით და 5.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა საფრანგეთიდან (31%), ესპანეთიდან (21%).

სამრეწველო პროდუქცია

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 44.9 მლნ. აშშ დოლარი (36%-ით და 25.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა რუმინეთიდან (63%), ბულგარეთიდან (19%), საბერძნეთიდან (13%);

აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის - იმპორტი 1.9 მლნ. აშშ დოლარი (70%-ით და 4.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ლიტვიდან (48%), გერმანიიდან (25%);

სატვირთო ავტომობილები - იმპორტი 6.8 მლნ. აშშ დოლარი (31%-ით და 3.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა გერმანიიდან (51%), ნიდერლანდებიდან (15%), ბელგიიდან (6%).

საქართველო - დსთ

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ის ქვეყნებთან 15%-ით შემცირდა, 574 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა:

- ექსპორტი 26%-ით შემცირდა, 129 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 29% დაიკავა;
- იმპორტი 11%-ით შემცირდა, 445 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 26% დაიკავა.

საქართველო-დსთ-ს ვაჭრობა სტრუქტურულ ჭრილში

ექსპორტი

დსთ-ს ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 62.1 მლნ. აშშ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8%-ით და 4.5 მლნ. აშშ დოლარით მეტია. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 66.7 მლნ. აშშ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 43%-ით და 50.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია.

ექსპორტის კლება განხორციელდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა **16.2** მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 2.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (61%), უკრაინაში (18%), ყაზახეთში (9%), ბელარუსში (7%);

უალკოჰოლო გაზიანი სასმელები - ექსპორტმა შეადგინა **1.5** მლნ. აშშ დოლარი (44%-ით და 1.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში (41%), სომხეთში (27%), რუსეთში (25%);

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი განხორციელდა მხოლოდ 23 ათასი აშშ დოლარის (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში გავიდა 3.3 მლნ. აშშ დოლარის).

სამრეწველო პროდუქცია

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა შეადგინა **18.0** მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 5.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა უზბეკეთში (71%), ყაზახეთში (7%), აზერბაიჯანში (10%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტმა შეადგინა **4.0** მლნ. აშშ დოლარი (36%-ით და 2.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ექსპორტი განხორციელდა სომხეთში (90%), აზერბაიჯანში (10%).

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან („არმატურა“) - ექსპორტმა შეადგინა **0.4** მლნ. აშშ დოლარი (92%-ით და 4.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა თურქმენეთში (91%);

ფეროშენადნობები - ექსპორტმა შეადგინა **6.4** მლნ. აშშ დოლარი (27%-ით და 2.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (61%), აზერბაიჯანში (21%);

მსუბუქი ავტომობილები - გავიდა 13.0 მლნ. აშშ დოლარი (64%-ით და 23.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: სომხეთში (41%) აზერბაიჯანში (38%);

სატვირთო ავტომობილები - ექსპორტი 0.5 მლნ. აშშ დოლარი (71%-ით და 2.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა სომხეთში 81%.

ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

თხილი და კაკალი - ექსპორტმა შეადგინა 2.7 მლნ. აშშ დოლარი (50%-ით და 0.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (66%), უკრაინაში (14%), ყაზახეთში (5%);

ღვინო - ექსპორტმა შეადგინა 14.6 მლნ. აშშ დოლარი (37%-ით და 4.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (68%), უკრაინაში (17%), ყაზახეთში (12%);

სპირტიანი სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 12.6 მლნ. აშშ დოლარი (103%-ით და 6.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა სომხეთში (36%), უკრაინაში (26%), რუსეთში (25%), ბელარუსში (5%);

თევზი გაყინული - ექსპორტმა შეადგინა 0.8 მლნ. აშშ დოლარი (2-ჯერ და 0.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ყაზახეთში (57%), უკრაინაში (17%);

სანელებლები - ექსპორტმა შეადგინა 1.8 მლნ. აშშ დოლარი (36% და 0.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (69%), უკრაინაში (22%).

სამრეწველო პროდუქცია

სატელეფონო აპარატები - ექსპორტმა შეადგინა 1.2 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და 0.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა უზბეკეთში (86%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** იმპორტმა შეადგინა 102 მლნ. აშშ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24%-ით და 32.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტმა შეადგინა 343 მლნ. აშშ დოლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2%-ით და 8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია.

იმპორტის კლება განხორციელდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე **სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია**

ხორბალი - იმპორტმა შეადგინა 12.4 მლნ. აშშ დოლარი (57%-ით და 16.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). იმპორტი სრულად განხორციელდა რუსეთიდან;

მზესუმზირის ზეთი - იმპორტმა შეადგინა 6.6 მლნ. აშშ დოლარი (32%-ით და 3.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან (77%), უკრაინიდან (15%);

შოკოლადის მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 6.0 მლნ. აშშ დოლარი (4%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან (54%), უკრაინიდან (41%);

სპირტიანი სასმელები - იმპორტმა შეადგინა **0.7** მლნ. აშშ დოლარი (86%-ით და **4.1** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა უკრაინიდან (80%), რუსეთიდან (17%).

სამრეწველო პროდუქცია

ქვანახშირის კოქსი და ნახევარკოქსი - იმპორტმა შეადგინა **3.2** მლნ. აშშ დოლარი (39%-ით და **2.1** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). იმპორტი განხორციელდა უკრაინიდან (93%), რუსეთიდან (7%);

ნავთობის აირები - იმპორტმა შეადგინა **87.5** მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და **14.3** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან (84%), რუსეთიდან (13%);

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - იმპორტმა შეადგინა **10.0** მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და **2.0** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). ძირითადი იმპორტი განხორციელდა უკრაინიდან (50%), რუსეთიდან (30%).

იმპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ხახვი - იმპორტმა შეადგინა **1.9** მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა ყაზახეთიდან (44%), რუსეთიდან (54%);

თამბაქოს მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა **10.1** მლნ. აშშ დოლარი (2-ჯერ და **6.5** მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა უკრაინიდან (52%), რუსეთიდან (46%).

სამრეწველო პროდუქცია

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტმა შეადგინა **28.7** მლნ. აშშ დოლარი (43%-ით და **8.6** მლნ. აშშ დოლარით მეტი). იმპორტი განხორციელდა სომხეთიდან (94%), აზერბაიჯანიდან (6%);

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტმა შეადგინა **40.0** მლნ. აშშ დოლარი (5%-ით და **1.9** მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან (58%), აზერბაიჯანიდან (40%);


მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 3.4 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და **2.5** მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი იმპორტი განხორციელდა: რუსეთიდან (94%);

სატვირთო ავტომობილები - იმპორტი 2.0 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და 1.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი). ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთიდან (74%).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2016 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 68.1% პროცენტი შეადგინა. სამი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია: თურქეთი (342.0 მლნ. აშშ დოლარი და 15.9%), ირლანდია (209.8 მლნ. აშშ დოლარი და 9.8%), რუსეთი (185.0 მლნ. აშშ დოლარი და 8.6%).

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი) 2016 იანვარი-მარტი



საქართველოს ექსპორტი


2016 წლის იანვარ-მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, რომელმაც 84.2 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 19.0 პროცენტი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილები 37.6 მლნ. აშშ დოლარით და 8.5 პროცენტით. მესამე ადგილზეა თხილი და კაკალი, ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 33.0 მლნ. აშშ დოლარით და მთლიანი ექსპორტის 7.4% შეადგინა.

2016 წლის იანვარ-მარტში ძირითად 10 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას ექსპორტის მიხედვით საქართველოს მთლიანი ექსპორტის 66% უკავია: პირველ პოზიციაზეა თურქეთი 50.0 მლნ.

აშშ დოლარით და 11.3%-იანი წილით, მეორე ადგილზეა ჩინეთი 50.0 მლნ აშშ დოლარით და 11.2%-იანი წილით, ხოლო მესამეზე რუსეთი 38.5 მლნ. აშშ დოლარი და 8.7%-იანი წილით.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში 2015-2016 იანვარი-მარტი (მლნ. აშშ დოლარი)

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით 2015-2016 იანვარი-მარტი (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველოს ექსპორტის მიმოხილვა სტრუქტურულ კრილში

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს ექსპორტში სასოფლო - სამეურნეო პროდუქციამ 132.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7%-ით და 9.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

სამრეწველო პროდუქციამ 311 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14%-ით და 50.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია.

ექსპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

- **თხილი და კაკალი** - ექსპორტმა შეადგინა 33.0 მლნ. აშშ დოლარი, 36%-ით და **18.7** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: იტალიაში (13.5 მლნ. აშშ დოლარი და 41%), გერმანიაში (3.9 მლნ. აშშ დოლარი და 12%), ჩეხეთში (3.0 მლნ. აშშ დოლარი და 9%);
- ✓ ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: იტალიაში (27%), ესპანეთში (67%), გერმანიაში (64%);
- ✓ ექსპორტი გაიზარდა ჩეხეთში (7%) და საფრანგეთში (78%).
- **მინერალური წყლები** - ექსპორტმა შეადგინა 19.3 მლნ. აშშ დოლარი, 15%-ით და **3.3** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში (9.8 მლნ. აშშ დოლარი და 51%), უკრაინაში (3.0 მლნ. აშშ დოლარი და 15%), ლიტვაში (2.6 მლნ. აშშ დოლარი და 14%), ყაზახეთში (1.4 მლნ. აშშ დოლარი და 8%);
- ✓ ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: ყაზახეთში (52%) და უკრაინაში (33%);
- ✓ ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (9%).
- **თევზი** - ექსპორტმა შეადგინა 2.9 მლნ. აშშ დოლარი, 30%-ით და **1.2** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
- ✓ ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა თურქეთში.
- **ხილ - ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტმა შეადგინა 1.1 მლნ. აშშ დოლარი, 65%-ით და **1.9** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: გერმანიაში (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 42%), საუდის არაბეთში (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 22%);
- ✓ ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (69%).
- **ხილ - ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტმა შეადგინა 1.1 მლნ. აშშ დოლარი, 53%-ით და **0.6** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: გერმანიაში (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 30%), აშშ-ში (0.3 მლნ. აშშ დოლარი 26%);
- ✓ ექსპორტი შემცირდა გერმანიაში (78%).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 3.8 მლნ. აშშ დოლარი, 18%-ით და **0.6** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები.

- ✓ ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა ერაყში (3.3 მლნ. აშშ დოლარი), წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა;
- ✓ ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში 3.2 მლნ. აშშ დოლარით.

სამრეწველო პროდუქცია

- **ფეროშენადნობები** - ექსპორტი 26.8 მლნ. აშშ დოლარი, 44%-ით და **21.4** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
 - ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: აშშ-ში (13.2 მლნ. აშშ დოლარი და 49%), რუსეთში (4.5 მლნ. აშშ დოლარი და 18%), საბერძნეთში (1.4 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
 - ✓ ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: კანადაში (0.1 მლნ. აშშ დოლარის 96%) და ბრაზილიაში (5.6 მლნ. აშშ დოლარის, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), აშშ-ში (19%);
 - ✓ ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: რუსეთში (13%), თურქეთში (3-ჯერ).
- **წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან „არმატურა“** - 3.3 მლნ. აშშ დოლარი, 32%-ით და **1.5** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
 - ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: თურქეთში (2.9 მლნ. აშშ დოლარი და 88%), თურქმენეთში (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 11%);
 - ✓ ექსპორტი შემცირდა აზერბაიჯანში (4.8 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნულ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით);
 - ✓ ექსპორტი გაიზარდა თურქეთში (2.9 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა) და თურქმენეთში (0.4 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 19.0 მლნ. აშშ დოლარი, 25%-ით და **6.2** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;
 - ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: უზბეკეთში (12.9 მლნ. აშშ დოლარი და 68%), აზერბაიჯანში (1.8 მლნ. აშშ დოლარი და 10%);
 - ✓ ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: თურქეთში (97%), უზბეკეთში (23%), აზერბაიჯანში (60%);
 - ✓ ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: ყაზახეთში (1.3 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი **23.3** მლნ. აშშ დოლარი, 3%-ით და **0.8** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები;

- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: ინდოეთში (3.3 მლნ აშშ დოლარი და 14%, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), თურქეთში (6.7 მლნ. აშშ დოლარი და 29%), ბულგარეთში (4.1 მლნ. აშშ დოლარი და 18%);
- ✓ ექსპორტი შემცირდა აშშ-ში (7.7 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), გაერთიანებულ სამეფოში 1.5 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ✓ ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: თურქეთში (17-ჯერ), ინდოეთში (3.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

მსუბუქი ავტომობილები გავიდა 37.6 მლნ. აშშ დოლარის, 35%-ით და **20.1** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები. ძირითადი ბაზრები: შვეიცარია (12.4 მლნ. აშშ დოლარით და 33%), ა/გ ემირატები (9.3 მლნ. აშშ დოლარი და 25%), სომხეთი (5.3 მლნ. აშშ დოლარით და 14%). ექსპორტი შემცირდა შემდეგ ბაზრებზე: აზერბაიჯანი (88%), სომხეთი (34%), ბელგია (94%). ექსპორტი განხორციელდა შვეიცარიაში (12.4 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

- **ციტრუსი** - ექსპორტმა შეადგინა 1.2 მლნ. აშშ დოლარი, 4-ჯერ და **0.9** მლნ. აშშ დოლარით მეტი;
- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 53%), უკრაინაში (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 18%), გერმანიაში (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 18%);
ექსპორტი გაიზარდა რუსეთში (8-ჯერ) და გერმანიაში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).
- **ღვინო** - ექსპორტი 19.3 მლნ. აშშ დოლარი, 24%-ით და **3.7** მლნ. აშშ დოლარით მეტი;
- ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში (9.9 მლნ. აშშ დოლარი და 51%), უკრაინაში (2.6 მლნ. აშშ დოლარი და 13%), ყაზახეთში (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ჩინეთში (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- ✓ ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთში (18%), ყაზახეთში (24%);
- ✓ ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: უკრაინაში (61%), რუსეთში (62%).
- **სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები** - ექსპორტი 17.2 მლნ. აშშ დოლარი, 75%-ით და **7.3** მლნ. აშშ დოლარით მეტი;
- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: სომხეთში (4.4 მლნ. აშშ დოლარი და 26%), რუსეთში (3.2 მლნ აშშ დოლარი და 19%), უკრაინაში (3.3 მლნ. აშშ დოლარი და 19%), ნიდერლანდებში (1.5 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ჰონგკონგში (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 3.6%);

- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: უკრაინაში (110%), რუსეთში (2.2-ჯერ), ჰონგკონგში (100%/გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), სომხეთში (8-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანში (65%), ბელარუსში (45%).


სამრეწველო პროდუქცია

- **სპილენძის მადნები** - ექსპორტი 84.2 მლნ. აშშ დოლარი, 38%-ით და 23.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი;
 - ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: ჩინეთში (46.0 მლნ. აშშ დოლარი და 55%), ბულგარეთში (26.6 მლნ. აშშ დოლარი და 32%), ესპანეთში (5.3 მლნ. აშშ დოლარი და 9%);
 - ✓ ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთში (3-ჯერ) და ესპანეთში (5.3 მლნ. აშშ დოლარი 6%), შვეიცარიაში (6 მლნ. აშშ დოლარი და 7%) აღნიშნულ ქვეყანაში წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა;
 - ✓ ექსპორტი შემცირდა ბულგარეთში 36%.
- **ნედლი ნავთობი** - ექსპორტი 5.9 მლნ. აშშ დოლარი, 54%-ით და **6.9** მლნ. აშშ დოლარით მეტი;
 - ✓ ექსპორტი განხორციელდა: ბულგარეთში (4.4 მლნ. აშშ დოლარი და 82%) და რუმინეთში (1.0 მლნ. აშშ დოლარი და 18%);
 - ✓ ექსპორტი გაიზარდა ბულგარეთში (74%) და რუმინეთში (100%-ით/ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
 - ✓ ექსპორტი შემცირდა გიბრალტარში (4.1 მლნ. აშშ დოლარით და 90%-ით) და იტალიაში 100%-ით.
- **ოქრო** - ექსპორტი 17.6 მლნ. აშშ დოლარი, 40%-ით და 5.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი;
 - ✓ ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: კანადაში (16.1 მლნ. აშშ დოლარი და 91%), ა/გ ემირატები (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 5%), თურქეთში (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
 - ✓ ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: კანადაში (36%), ა/გ ემირატებში (21%), თურქეთში (4%).

საქართველოს იმპორტი

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს 10 ძირითადი სასაქონლო პოზიციის იმპორტმა 44.2% დაიკავა. პირველ პოზიციაზე **სამკურნალო საშუალებების** იმპორტია 259.6 მლნ. აშშ დოლარით და 15.2 პროცენტით, დაიკავა. მეორე ადგილზეა **ნავთობის და ნავთობპროდუქტების აირები** 124.3 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 7.3 პროცენტია. მესამე ადგილზე **მსუბუქი ავტომობილების** იმპორტი 99.4 მლნ. აშშ დოლარით და 5.8 პროცენტით.

ძირითადად ათმა ქვეყანამ იმპორტის მიხედვით დაიკავა **71.4%**. პირველ ადგილზეა **თურქეთი** 292 მლნ. აშშ დოლარით და 17.1%-იანი წილით, მეორე ადგილზეა **ირლანდია** 209.7 მლნ. აშშ დოლარით და 12.3%-იანი წილით, ხოლო მესამეზე - რუსეთი 146.5 მლნ. აშშ დოლარით და 8.6%-იანი წილით.



ძირითადი საიმპორტო პროდუქცია სტრუქტურულ ჭრილში

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს იმპორტმა შეადგინა 1 703 მლნ. აშშ დოლარი, რაც 92 მლნ. აშშ დოლარით და 5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მათ შორის:

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციამ 220 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20%-ით და 56.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით;

სამრეწველო პროდუქციამ 1 483 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2%-ით და 36.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია.

იმპორტი შემცირდა შემდეგი სასაქონლო კოზიციების ხარჯზე:
სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 10.1 მლნ. აშშ დოლარი (31%-ით და **4.6** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
 - ✓ იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ (2.2 მლნ. აშშ დოლარი და 22%); უკრაინა (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 17%), თურქეთი (1.6 მლნ. აშშ დოლარი და 15%);
 - ✓ იმპორტი შემცირდა თურქეთიდან (53%) და უკრაინიდან (30%).
- **ხორბალი** - იმპორტი 12.4 მლნ. აშშ დოლარი (57%-ით და **16.7** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
 - ✓ იმპორტის სრული მოცულობა განხორციელდა რუსეთიდან;
 - ✓ იმპორტი შემცირდა ყაზახეთიდან (100%), უკრაინიდან (100%), რუსეთიდან (58%).
- **მზესუმზირის ზეთი** - იმპორტი 6.7 მლნ. აშშ დოლარი (32%-ით და **3.2** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
 - ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა: რუსეთიდან (5.1 მლნ. აშშ დოლარი და 76%), უკრაინიდან (1.0 მლნ. აშშ დოლარი და 15%);
 - ✓ იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (78%);
 - ✓ იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (15%).
- **შაქარი** - იმპორტი 9.0 მლნ. აშშ დოლარი (26%-ით და **3.2** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
 - ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა: ბრაზილიიდან (7.7 მლნ. აშშ დოლარი და 86%); პოლონეთიდან (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
 - ✓ იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუმინეთიდან (92%), პოლონეთიდან (74%);
 - ✓ იმპორტი გაიზარდა ბრაზილიიდან (11%).
- **სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები** - იმპორტი 3.8 მლნ. აშშ დოლარი (73%-ით და **10.5** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
 - ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა: საფრანგეთიდან (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 21%), უკრაინიდან (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 14%);
 - ✓ იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთი (100%), რუსეთი (89%), გაერთიანებული სამეფო (83%), უკრაინა (69%).

სამრეწველო პროდუქცია

- **მანგანუმის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 3.5 მლნ. აშშ დოლარი (67%-ით და **7.1** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
 - ✓ სრული იმპორტი განხორციელდა სამხრეთ აფრიკიდან;

- ✓ იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: გაბონიდან (10 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა);
- ✓ იმპორტი გაიზარდა სამხრეთ აფრიკიდან, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ ქვეყნიდან იმპორტი არ განხორციელებულა.

- **ნავთობის აირები** - იმპორტი 124.3 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და **25.0** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
- ✓ იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან (109 მლნ. აშშ დოლარი და 88%), რუსეთიდან (11.0 მლნ. აშშ დოლარი და 10%), სომხეთიდან (4.1 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- ✓ იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთიდან (79%), რუსეთიდან (62%);
- ✓ იმპორტი გაიზარდა აზერბაიჯანიდან (9%).

- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 93.0 მლნ. აშშ დოლარი (28%-ით და **36.4** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
- ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუმინეთიდან (28.4 მლნ. აშშ დოლარი და 30%), რუსეთიდან (23.4 მლნ. აშშ დოლარი და 25%), თურქმენეთიდან (5.4 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- ✓ იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუმინეთიდან (22%), თურქმენეთიდან (67%);
- ✓ იმპორტი გაიზარდა რუსეთიდან (2-ჯერ).

- **საჰაერო ტუმბოები და ვენტილატორები** - იმპორტი 5.6 მლნ. აშშ დოლარი (49%-ით და **5.4** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);
- ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: გაერთიანებული სამეფო (1.3 მლნ. აშშ დოლარი და 22%), თურქეთიდან (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 20%), იტალიიდან (1.0 მლნ. აშშ დოლარი 17%);
- ✓ იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ-დან (91%), თურქეთიდან (6%).

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 99.3 მლნ. აშშ დოლარი (32%-ით და **46.5** მლნ. აშშ დოლარით ნაკლები). იმპორტიორი ქვეყნებია: იაპონია (33 მლნ. აშშ დოლარი და 33%), გერმანია (24.5 მლნ. აშშ დოლარი და 25%), აშშ (25 მლნ. აშშ დოლარი და 25%). იმპორტი შემცირდა: იაპონიიდან (51%), აშშ-დან (35%). იმპორტი გაიზარდა გერმანიიდან (17%) და რუსეთიდან (3-ჯერ).

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

- **რძე და ნაღები შესქელებული** - 5.3 მლნ. აშშ დოლარი (15%-ით და **0.7** მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: თურქეთიდან (2.2 მლნ. აშშ დოლარი და 42%), უკრაინიდან (1.3 მლნ. აშშ დოლარი და 24%), ნიდერლანდებიდან (0.7 მლნ. აშშ დოლარი და 12%);
 - ✓ იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: თურქეთიდან (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობის იმპორტი);
 - ✓ იმპორტი შემცირდა უკრაინიდან (39%).
- **პომიდორი** - 2.6 მლნ. აშშ დოლარი (39%-ით და **0.7** მლნ. აშშ დოლარით მეტი) იმპორტის თითქმის სრული მოცულობა განხორციელდა თურქეთიდან.
 - **სიგარეტი და თამბაქოს შხა ნაწარმი** - იმპორტი 20.5 მლნ. აშშ დოლარი (87%-ით და **9.5** მლნ. აშშ დოლარით მეტი);
 - ✓ ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინიდან (9.8 მლნ. აშშ დოლარი და 48%), რუსეთიდან (8.1 მლნ. აშშ დოლარი და 39%), ჩინეთიდან (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
 - ✓ იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთიდან (2-ჯერ), უკრაინიდან (48%).

სამრეწველო პროდუქცია

- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 78.5 მლნ. აშშ დოლარი (57%-ით და **28.6** მლნ. აშშ დოლარით მეტი);
 - ✓ იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთიდან (51.0 მლნ. აშშ დოლარი და 64%), ბრაზილიიდან (21.3 მლნ. აშშ დოლარი და 27%), პორტუგალიიდან (4%);
 - ✓ იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: ბრაზილიიდან, პორტუგალიიდან და აზერბაიჯანიდან (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი ამ ქვეყნებიდან არ განხორციელებულა) და სომხეთიდან (35%);
 - ✓ იმპორტი შემცირდა პერუდან და მაროკოდან 100%-ით (მიმდინარე წელს აღნიშნული ქვეყნებიდან იმპორტი არ განხორციელებულა).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 259.6 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და **189.6** მლნ. აშშ დოლარით მეტი);
 - ✓ იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: ირლანდიიდან (208 მლნ. აშშ დოლარი და 80%), თურქეთიდან (9.2 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
 - ✓ იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: ირლანდიიდან (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), ინდოეთი (92%);
 - ✓ იმპორტი შემცირდა: თურქეთიდან (58%), უნგრეთიდან (36%).

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით
2016 იანვარი-მარტი
(ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
ევროკავშირის ქვეყნები	110,791	601,174	711,965
ავსტრია	69	14,691	14,760
ბელგია	1,380	14,512	15,893
ბულგარეთი	35,510	19,104	54,613
გაერთიანებული სამეფო	1,565	29,792	31,356
გერმანია	12,801	85,869	98,670
დანია	202	2,790	2,992
ესპანეთი	8,460	18,484	26,944
ესტონეთი	502	1,326	1,828
ირლანდია	101	209,684	209,786
იტალია	18,437	47,313	65,749
კვიპროსი	353	613	966
ლატვია	1,555	3,564	5,119
ლიტვა	5,432	7,251	12,683
ლუქსემბურგი	-	286	286
მალტა	518	487	1,005
ნიდერლანდები	6,319	28,443	34,762
პოლონეთი	1,830	19,031	20,860
პორტუგალია	38	5,752	5,791
რუმინეთი	2,477	32,461	34,939
საბერძნეთი	4,278	9,743	14,021
საფრანგეთი	3,427	20,853	24,280
სლოვაკეთი	1,877	3,021	4,897
სლოვენია	-	4,952	4,952
უნგრეთი	83	6,025	6,108
ფინეთი	2	2,750	2,752
შვედეთი	0	1,182	1,182
ჩეხეთი	3,576	10,998	14,574
ხორვატია	-	199	199
დსთ-ის ქვეყნები	128,865	444,717	573,582
აზერბაიჯანი	17,769	142,318	160,086
ბელარუსი	3,506	6,092	9,598
თურქმენეთი	2,562	6,033	8,595
მოლდოვა	304	2,253	2,557
რუსეთი	38,510	146,501	185,010
სომხეთი	28,485	63,095	91,580
ტაჯიკეთი	395	-	395

უზბეკეთი	16,533	2,266	18,799
უკრაინა	13,161	71,607	84,768
ყაზახეთი	6,366	4,074	10,440
ყირგიზეთი	1,275	479	1,754
დანარჩენი ქვეყნები	203,155	656,620	859,775
ავსტრალია	61	427	488
ავღანეთი	3	21	24
ალბანეთი	-	14	14
ანგოლა	618	-	618
ა/გ ემირატები	11,849	25,556	37,405
არგენტინა	-	335	335
აშშ	14,216	38,733	52,949
ახალი ზელანდია	-	592	592
ბანგლადეში	-	199	199
ბაჰრეინი	52	-	52
ბელიზი	-	48	48
ბოსნია-ჰერცეგოვინა	-	37	37
ბრაზილია	-	34,400	34,400
განა	19	-	19
გვატემალა	144	-	144
გიბრალტარი	468	-	468
ეგვიპტე	6,493	938	7,432
ეკვადორი	-	4,334	4,334
ერაყი	4,415	322	4,738
ვიეტნამი	-	6,497	6,497
ვირჯინის კუნძულები, ბრიტანეთი	-	289	289
ზიმბაბვე	198	-	198
თურქეთი	50,000	291,828	341,828
იამაიკა	6	-	6
იაპონია	112	38,484	38,596
ინდოეთი	4,560	18,044	22,603
ინდონეზია	7	2,035	2,042
იორდანია	-	47	47
ირანი	5,996	14,603	20,599
ისლანდია	-	1,193	1,193
ისრაელი	1,108	2,937	4,045
კამბოჯა	0	5	5
კამერუნი	-	0	0
კანადა	16,782	1,860	18,641
კენია	-	3	3
კოლუმბია	1,181	39	1,219

კორეის რესპუბლიკა	599	13,821	14,420
კოსტარिका	-	68	68
კუბა	-	6	6
ლიბანი	90	39	129
ლიხტენშტაინი	-	94	94
მაკედონია	-	862	862
მალავი	-	14	14
მალაიზია	15	1,530	1,545
მაროკო	14	-	14
მარტინიკა	29	-	29
მექსიკა	659	439	1,097
მონაკო	16	1	17
მონგოლეთი	169	-	169
ნეპალი	-	10	10
ნიგერია	0	14	15
ნორვეგია	-	1,833	1,833
ომანი	-	0	0
პაკისტანი	-	1,487	1,487
პანამა	736	35	771
პერუ	782	-	782
სამხრეთი აფრიკა	97	4,036	4,134
სანმარინო	-	129	129
საუდების არაბეთი	7,197	387	7,584
სერბია-მონტენეგრო	10	833	844
სინგაპური	2,287	1,170	3,456
სირია	539	125	664
სუდანი	-	10	10
ტაივანი	176	1,783	1,959
ტილანდი	-	1,772	1,772
ტანზანია	185	13	198
ტუნისი	380	-	380
უგანდა	11	-	11
ურუგვაი	104	224	328
ფარერის კუნძულები	-	66	66
ფილიპინები	36	64	100
ქუვეითი	52	2	54
ყატარი	482	50	532
შვეიცარია	18,906	7,806	26,712
შრილანკა	1	415	416
ჩილე	423	156	579
ჩინეთი	49,660	119,082	168,741
ჰონკონგი	1,212	14,426	15,638